საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2010 წლის 23 ივნისის სხდომის
ოქმი №48

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 69 წევრიდან, ესწრებოდა 39. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი კენჭის ყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

სპიკერმა მიმართა საბჭოს წევრებს, აერჩიათ ხმის დამთვლელი კომისია 3 კაცის შემადგენლობით. დასახელდა საბჭოს შემდეგი წევრები: პროფ. მალხაზ ხუციშვილი, პროფ. მარინა ქურდაძე, სტუდენტი ბექა მაჭარაშვილი.

წარმოდგენილ კანდიდატურებს ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სტუ-ს 2010 წლის ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების დამტკიცების შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგენთ ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებს. საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელ მუდმივმოქმედ კომისიაზე განხილულ იქნა წარმოდგენილი საკითხი და კომისიამ მხარი დაუჭირა ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებს.

პროფ. ვაჟა პაპასკირი: საფაკულტეტო ბიუჯეტებში ცვლილებების მიხედვით 2.2 პუნქტში წარმოდგენილია არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ცვლილება, რომლის მიხედვით 2000 ლარი წიგნების ხარჯებიდან გადადის წარმომადგენლობით ხარჯებში. რა, წიგნები აღარ სჭირდებათ? ეს თანხა წიგნების შესაძენად არის გათვალისწინებული. მე წინააღმდეგი ვარ ამ ცვლილების.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: მე არ მქონდა უფლება შემეცვალა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება.

პროფ. ვაჟა პაპასკირი – გთხოვთ კენჭისყრაზე დააყენოთ ეს საკითხი.

სპიკერი: კენჭისყრაზე ცალ-ცალკე ვაყენებ ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილების საკითხს მთლიანობაში, 2.2 პუნქტის გარეშე და ცალკე 2.2 პუნქტს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი 2.2 პუნქტის გარეშე. კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ ნაერთ ბიუჯეტში წარმოდგენილი ცვლილებები.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის 2.2 პუნქტი. მომხრე – 5, წინააღმდეგი – 22, თავი შეიკავა – 12.

სპიკერი – ეს საკითხი არ გავიდა.

g a d a w y v e t i l e b a #1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 23 ივნისის №48 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოდგინა საკითხი სტუ-ს 2010 წლის ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების დამტკიცების შესახებ, კერძოდ:

1. ცვლილებები სტუ-ს 2010 წლის ნაერთ ბიუჯეტში

1.1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 მარტის №151 ბრძანებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 5 მარტის №24-12-1/3451 წერილის საფუძველზე, „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის გრანტებისა და სტიპენდიების მინიჭების პროგ-რამის“, „პრეზიდენტის სტიპენდიები ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს“ ქვე-პროგრამის დამტკიცებასთან დაკავშირებით, სტუ-ს 2010 წლის ნაერთი ბიუჯეტი გაიზარდოს 229500 (ორას ოცდაცხრა ათას ხუთასი) ლარით;

1.2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 26 აპრილის №306 ბრძანებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 2 ივნისის №24-09-1/9047 წერილის საფუძველზე, სტუ-ს 2010 წლის II-III-IV კვარტალებში ბიუჯეტიდან დაფინანსებული ასიგნებების მოცულობა განისაზღვროს – 2721040 (ორი მილიონ შვიდას ოცდაერთი ათას ორმოცი) ლარით, სადაც სუბსიდიების მუხლით გათვალისწინებულია – 1064301 (ერთი მილიონ სამოცდაოთხი ათას სამასერთი) ლარი და ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის ხელშეწყობის ქვეპროგრამის დაფინანსებას – 727390 (შვიდას ოცდაშვიდი ათას სამასოთხმოცდაათი) ლარით, ხოლო დანარჩენი – 336911 (სამას ოცდათექვსმეტი ათას ცხრაას თერთმეტი) ლარი – ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის, სენსორული ელექტრონიკის ცენტრისა და გეოეკოლოგიური მონიტორინგის განყოფილების დასაფინანსებლად. კერძოდ:

- სხვა ხარჯების მუხლი II კვარტალში განისაზღვროს – 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარით, რაც სტუ-ს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად ითვალისწინებს განსაკუთრებული ნიჭის მქონე, ობოლ და მზრუნველობამოკლებულ სტუდენტთა სწავლის საფასურის დაფინანსებას;

- საქონელი და მომსახურების მუხლი, რაც ითვალისწინებს მიმდინარე რემონტის ჩასატარებელ სამუშაოებს, განისაზღვროს – 1423439 (ერთი მილიონ ოთხას ოცდასამი ათას ოთხას ოცდაცხრამეტი) ლარით;

- არაფინანსური აქტივების ზრდა, მუხლში გათვალისწინებულია – 100000 (ასი ათასი) ლარი – აკადემიური პერსონალის ხელშეწყობით ქვეპროგრამისთვის, კომ-პიუტერული ტექნიკის შესაძენად – 84730 (ოთხმოცდაოთხი ათას შვიდას ოცდაათი) ლარი, ელექტრო მოწყობილობების შესაძენად – 3420 (სამი ათას ოთხას ოცი) ლარი, ნედლეულის და მასალების შესაძენად – 11850 (თერთმეტი ათას რვაას ორმოცდაათი) ლარი, ხოლო – 83300 (ოთხმოცდასამი ათას სამასი) ლარი ძირითადი აქტივებისთვის.

ამგვარად, 2010 წლის საბიუჯეტო სახსრების ასიგნებები I-II-III და IV კვარტლებში განისაზღვროს – 3686040 (სამი მილიონ ექვსას ოთხმოცდაექვსი ათას ორმოცი) ლარით, ნაცვალად – 4095600 (ოთხი მილიონ ოთხმოცდათხუთმეტი ათას ექვსასი) ლარისა.

1.3. საშემოსავლო ნაწილში სამეცნიერო გრანტების მოცულობა გაიზარდოს – 342197 (სამასორმოცდაორი ათას ასოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარით, შესაბამისად – ხარჯვითი ნაწილიც.

1.4. გაიზარდოს ეკონომიკური საქმიანობის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუ-ჯეტში ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების წილი – 21876 (ოცდაერთი ათას რვაას სამოცდათექვსმეტი) ლარით, შესაბამისად – ხარჯვითი ნაწილიც.

1.5. ოფისის ხარჯების, შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის პუნქტიდან 312033 (სამასთორმეტი ათას ოცდაცამეტი) ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების ძირითადი აქტივების პუნქტში.

წარმომადგენლობითმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სტუ-ს 2010 წლის ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებები.

g a d a w y v e t i l e b a #2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 23 ივნისის №48 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ს 2010 წლის საფაკულტეტო (იმავდროულად ნაერთ) ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების დამტკიცების შესახებ, კერძოდ:

2. ცვლილება საფაკულტეტო (იმავდროულად ნაერთ) ბიუჯეტებში

2.1. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის ბიუჯეტში და ნაერთ ბიუჯეტში პრემირების მუხლიდან – 500 (ხუთასი) ლარი გადატანილ იქნეს უნიფორმის შეძენის ხარჯებში.

2.2. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის ორდენების, სიგელების და სუვენირების შეძენის პუნქტიდან – 500 (ხუთასი) ლარი და სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის ხარჯებიდან (წიგნები) – 2000 (ორი ათასი) ლარი ანუ ჯამში – 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი გადატანილ იქნეს წარმომადგენლობითი ხარჯების, მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯების პუნქტში.

2.3 „საქონლი და მომსახურეობის" მუხლის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების პუნქტიდან არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე შემოქმედებითი ტურების (ხაზვა, არქიტექტურული გრაფიკა) კომისიის წევრთა ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების 2908 ლარის გაცემის შესახებ.

2.4. სამშენებლო ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში ოფისის ხარჯების, შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან – 40440 (ორმოცი ათას ოთხას ორმოცი) ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების ძირითადი აქტივების მუხლში.

2.5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში ოფისის ხარჯების, შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან – 3986 (სამი ათას ცხრაას ოთხმოცდაექვსი) ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების ძირითადი აქტივების მუხლში.

2.6. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთბიუჯეტში წარმომადგენლობითი ხარჯების, სატრანსპორტო მომსახურებისა და მგზავრობის ხარჯებიდან 1080 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, ელექტრომოწყობილობების შეძენის პუნქტში, ხოლო წარმომადგენლობითი ხარჯების, სატრანსპორტო მომსახურებისა და მგზავრობის ხარჯებიდან 3015 ლარი გადატანილ იქნეს საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენის ხარჯების პუნქტში.

- ***წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, დამტკიცდა სტუ-ს 2010 წლის საფაკულტეტო ბიუჯეტებში წარმოდგენილი განსახორციელებელი ცვლილებები, გარდა არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი ცვლილებისა.***
- ***კენჭისყრის შედეგად (საბჭოს დამსწრე 39 წევრიდან მომხრე 5, წინააღმდეგი 22, თავი შეიკავა 12) არ დამტკიცდა წარმოდგენილი 2.2 პუნქტი.***

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – სტუ-ზე უზუფრუქტის ფორმით გადმოცემული ფართობების იჯარით გაცემის საკითხის დამტკიცების შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქ. ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგენთ გასაიჯარებელ ობიექტებს.

1. ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №68-ში, პირველი სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე მდებაზე ორი ოთახი, საერთო ფართობით 70 $მ^2$აღნიშნული ფართობი გაიცემა ოფისის მოწყობის მიზნით, 2 წლის ვადით.
2. ქ. თბილისში, მ. კოსტავას ქ.№68-ში, პირველი სასწავლო კორპუსის ეზოში არსებული 70 $მ^2$ ფართობის დამხმარე სათავსო, ფართი გაიცემა კომერციული საქმიანობისათვის, 2 წლის ვადით.
3. ქ. თბილისში, კოსტავას ქ.№77 VIII სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე 113.52 $მ^2$ ფართი, ფართი გაიცემა კომერციული საქმიანობისათვის, 4 წლის ვადით.
4. ქ. თბილისში, კოსტავას ქ.№77 VI სასწავლო კორპუსის IV სართულზე 40.01 $მ^2$ ფართი, 4 წლის ვადით.

VIII კორპუსის I სართულზე მდებარე 113,2 $მ^2$ და VI კორპუსის IV სართულზე მდებარე ბუფეტის იჯარით აღება სურს ჩვენს ძველ მეიჯარეს ბენედიქტე გეგეჭკორს. თუ ახალი მსურველი არ გამოჩნდა, მაშინ იქნებ მივაქირაოთ ისევ ძველ მეიჯარეს?

პროფ. ნოდარ ქავჯაია: ეს ძველი გადამხდელია და მგონი ურჩი. რამდენად მიზანშეწონილია მასზე ისევ ფართის გაიჯარება?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: ვნახოთ, იქნებ სხვა მეიჯარეც გამოჩნდეს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

g a d a w y v e t i l e b a #3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 23 ივნისის №48 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადმოცემული ფართობების კომერციული საქმიანობის განხორციელების მიზნით იჯარით გაცემის საკითხის დამტკიცების შესახებ.

სტუ-ის წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. *თბილისში, მ. კოსტავას ქ. №68-ში, პირველი სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე მდებარე ორი ოთახი, საერთო ფართობით 70 მ², გაიცეს ოფისის მოწყობის მიზნით, 2 წლის ვადით;*
2. *თბილისში, მ. კოსტავას ქ. №68-ში, პირველი სასწავლო კორპუსის ეზოში არსებული 70 მ² ფართობის დამხმარე სათავსო, გაიცეს კომერციული საქმიანობისათვის, 2 წლის ვადით;*
3. *კოსტავას ქ. №77 VIII სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე 113.52 მ² ფართობი, გაიცეს კომერციული საქმიანობისათვის, 4 წლის ვადით;*
4. *კოსტავას ქ. №77 VI სასწავლო კორპუსის IV სართულზე 40.01 მ² ფართობი, გაიცეს კომერციული საქმიანობისათვის, 4 წლის ვადით.*

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე საკითხები – მომხსენებელი პროფ. ზ. გასიტაშვილი.

პროფ. ზურაბ გასიტაშვილი: მოგახსენებთ, რომ სტუ-ში იქმნება ბევრი ცენტრი, თვითოეულ მათგანზე გვაქვს ინფორმაცია და ის ცენტრები, რომლებიც არ მუშაობს, გავაუქმებთ. არის ერთმანეთის მსგავსი ცენტრები. თუ ყველა ცენტრი იშოვის დაკვეთას, ძალიან კარგი იქნება. არის კონკურენცია და ვინც უკეთ იმუშავებს, ის დარჩება. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო "ბიოინჟინერიის ცენტრი", რომელიც თავის დროზე ეკონომიკურად იქნა შემოწმებული. ეს არის საქართველოს მომავალი. მოხდა ამ პროდუქციის ეკოლოგიურად შემოწმება მოსკოვში. გთხოვთ, მხარი დაუჭიროთ. ეს არის საუნივერსიტეტო ცენტრი.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე საკითხები. წარმოდგენილი საკითხები კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

g a d a w y v e t i l e b a #4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 23 ივნისის №48 სხდომაზე პროფ. ზურაბ გასიტაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-თან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე "ბიოინჟინერიის ცენტრის" შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №270).

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი №270 დადგენილება

სტუ-თან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე "ბიოინჟინერიის ცენტრის" შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.

g a d a w y v e t i l e b a #5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 23 ივნისის №48 სხდომაზე პროფ. ზურაბ გასიტაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-თან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე "ტექნიკური ექსპერტიზა და უსაფრთხოება მშენებლობაში" ცენტრის შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №271).

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი №271 დადგენილება სტუ-თან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე "ტექნიკური ექსპერტიზა და უსაფრთხოება მშენებლობაში" ცენტრის შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.

g a d a w y v e t i l e b a #6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 23 ივნისის №48 სხდომაზე პროფ. ზურაბ გასიტაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე "მანქანათმშენებლობის მოწყობილობების ავტომატიზირებული მართვის სისტემების სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის" შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №259).

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი №259 დადგენილება სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე "მანქანათმშენებლობის მოწყობილობების ავტომატიზებული მართვის სისტემების სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის" შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.

g a d a w y v e t i l e b a #7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 23 ივნისის №48 სხდომაზე პროფ. ზურაბ გასიტაშვილმა

წარმოადგინა საკითხი სტუ-თან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ელექტრომექანიკის სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის" შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №248).

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი №248 დადგენილება სტუ-თან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ელექტრომექანიკის სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის" შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.

g a d a w y v e t i l e b a #8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 23 ივნისის №48 სხდომაზე, პროფ. ზურაბ გასიტაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-თან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე "მშენებლობისა და ნაგებობების კვლევების ცენტრის" შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №276).

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი №276 დადგენილება სტუ-თან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე "მშენებლობისა და ნაგებობების კვლევების ცენტრის" შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მერვე და მეცხრე საკითხები – მომხსენებელი პროფ. ნ. წერეთელი.

პროფ. ნ წერეთელი: წარმოგიდგენთ "მასალათა თვისებების სასწავლო სამეცნიერო ცენტრს" და ამ ცენტრის დებულებას, ასევე სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტთან არსებული "ელექტრომეტალურგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრს" და მის დებულებას დასამტკიცებლად.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მერვე და მეცხრე საკითხები. **წარმოდგენილი საკითხები კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

g a d a w y v e t i l e b a #9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 23 ივნისის №48 სხდომაზე პროფ. ნუგზარ წერეთელმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე "მასალათა თვისებების სასწავლო–სამეცნიერო ცენტრის" შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №272).

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი №272 დადგენილება სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე "მასალათა თვისებების სასწავლო–სამეცნიერო ცენტრის" შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.

g a d a w y v e t i l e b a #10

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 23 ივნისის №48 სხდომაზე პროფ. ნუგზარ წერეთელმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტთან "ელექტრომეტალურგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის" შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №275).

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი №275 დადგენილება სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტთან "ელექტრომეტალურგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის" შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეათე საკითხი – სტუ-ს "საინფორმაციო ტექნოლოგიები ბიზნესსა და ეკონომიკაში" სასწავლო ცენტრის შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ – მომხსენებელი პროფ. მედეა თევდორაძე.

პროფ. მედეა თევდორაძე: წარმოგიდგენთ სტუ-ს "საინფორმაციო ტექნოლოგიები ბიზნესსა და ეკონომიკაში" სასწავლო ცენტრს და ამ ცენტრის დებულებას დასამტკიცებლად.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეათე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

g a d a w y v e t i l e b a #11

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 23 ივნისის №48 სხდომაზე პროფ. მედეა თევდორაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-თან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე "საინფორმაციო ტექნოლოგიები ბიზნესსა და ეკონომიკაში სასწავლო ცენტრის" შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №258).

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი №258 დადგენილება სტუ-თან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე "საინფორმაციო ტექნოლოგიები ბიზნესსა და ეკონომიკაში სასწავლო ცენტრის" შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეთერთმეტე და მეთორმეტე საკითხები – მომხსენებელი პროფ. ზაზა მიქაძე.

პროფ. ზაზა მიქაძე: წარმოგიდგენთ სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტთან არსებული „სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის" ნაცვლად „სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის" შექმნისა და მის დებულებაში ცვლილების შეტანის საკითხს, ასევე სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტთან „IT –კონსალტინგის სამეცნიერო კვლევის ცენტრს" და ამ ცენტრის დებულებას დასამტკიცებლად.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა მეთერთმეტე და მეთორმეტე საკითხები, რომლებიც კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

g a d a w y v e t i l e b a #12

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 23 ივნისის №48 სხდომაზე პროფ. ზაზა მიქაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტთან არსებული "სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის" ნაცვლად, "სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის" შექმნისა და ამ ცენტრის დებულებაში ცვლილებების შეტანის დამტკიცების შესახებ (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №260).

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი №260 დადგენილება სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტთან არსებული „სამეცნიერო–კვლევითი ცენტრის" ნაცვლად, „სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის" შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულების შესწორებული ვარიანტი.

g a d a w y v e t i l e b a #13

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 23 ივნისის №48 სხდომაზე პროფ. ზაზა მიქაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე „IT – კონსალტინგის სამეცნიერო კვლევის ცენტრის" შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №261).

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი №261 დადგენილება სტუ-ს ინფორმატიკსა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე „IT – კონსალტინგის სამეცნიერო კვლევის ცენტრის" შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.

პროფ. გივი გოლეთიანი: როგორ იქნება ცენტრის ფინანსური ურთიერთობა ადმინისტრაციასთან?

პროფ. დავით ჯაფარიძე: შეიქმნას საკომისიო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს საერთო წესს და თითოეული ცენტრისთვის განსაზღვრავს ადმინისტრაციასთან ანგარიშგებას.

სპიკერი: მივიღოთ გადაწყვეტილება და დავსვათ საკითხი რექტორატის წინაშე, რომ ცენტრებს გამოსაცდელად მიეცეს 1 წელი. შეიქმნას კომისია, რომელიც შეიმუშავებს ცენტრის ფუნქციონირების წესს. მოხდეს ცენტრების დიფერენცირება (სასწავლოდ თუ სამეცნიეროდ) და განისაზღვროს მათი ანგარიშგება ადმინისტრაციასთან.

g a d a w y v e t i l e b a #14

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა:

- *თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე ცენტრებს მიეცეთ ერთწლიანი ვადა თავიანთი საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად;*
- *აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა მონაწილეობით შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეიმუშავებს თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე ცენტრების ფუნქციონირების წესს, რომლითაც განისაზღვრება ამ ცენტრებისა და უნივერსიტეტის ურთიერთობის ფინანსური მხარე.*

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეცამეტე საკითხი – სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე შემოქმედებითი ტურების ჩატარების დებულებაში დამატებების შეტანის საკითხის დამტკიცების შესახებ –საკითხს მე წარმოგიდგენთ

სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე: წარმოგიდგენთ სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე შემოქმედებითი ტურების ჩატარების დებულებაში დამატებების შეტანის საკითხს დასამტკიცებლად. ამის თაობაზე სტუ-ს აკადემიურმა საბჭომ მიიღო დადგენილება. ეს შეეხება მობილობით გადმოსულ სტუდენტებს. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს სხვა უმაღლეს სასწავლებელში გავლილი აქვს (მაგ. სამხატვრო აკადემიაში) შემოქმედებითი ტური, ეს სტუდენტი ჩვენთან გადმოსვლის შემთხვევაში აღარ აბარებს გამოცდებს ხატვასა და ხაზვაში, მაგრამ თუ არა აქვს გავლილი, მაშინ ჩვენთან ჩააბარებს აღნიშნულ გამოცდებს (იხ. დანართი).

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა მეცამეტე საკითხი, რომელიც კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

g a d a w y v e t i l e b a #15

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 23 ივნისის №48 სხდომაზე სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე შემოქმედებითი ტურების ჩატარების დებულებაში დამატებების შეტანის დამტკიცების შესახებ (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №266).

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №266 წარმოდგენილი დადგენილება სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე

შემოქმედებითი ტურების ჩატარების დებულებაში დამატებების შეტანის შესახებ (იხ. დანართი).

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეთოთხმეტე საკითხი – ცვლილება სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტში – მომხსენებელი პროფ. ე. თევზაძე.

სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე: წარმოგიდგენთ ცვლილებას რეგლამენტში. სტუ-ში სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისა და ლექციებისთვის გამოყოფილი დროის მაქსიმალურად ათვისების მიზნით, აკადემიურმა საბჭომ მიიღო დადგენილება №152:

1. აიკრძალოს სტუ-ში სამუშაო დღის პერიოდში მიმდინარე ლექცია-სემინარების დასრულებამდე ყოველგვარი სხდომების, შეკრებებისა და სხვა მსგავსი ღონისძიებების ჩატარება.

2. აღნიშნული აკრძალვა გამოყენებული არ იქნეს უნივერსიტეტისთვის საჭირო უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტისას.

ჩვენ რეგლამენტში გვიწერია, რომ წარმომადგენლობითი საბჭო უნდა ჩატარდეს ოთხშაბათობით. ეს დღე დაითქვა იმისთვის, რომ საბჭოს წევრებს გამოენთავისუფლებინათ ერთი კონკრეტული დღე წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომებისათვის. აღნიშნული დადგენილების შესამაბისად, საბჭოს სხდომა აღარ გაიმართება სალექციო საათების პერიოდში, ამიტომ ნუღარ შევიზღუდავთ თავს ერთი კონკრეტული დღით და რეგლამენტიდანაც ამოვიღოთ პუნქტი 15.3, რომელმაც დაკარგა თავისი მნიშვნელობა.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა მეთოთხმეტე საკითხი, რომელიც კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

g a d a w y v e t i l e b a #16

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 23 ივნისის №48 სხდომაზე სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის დამტკიცების შესახებ.

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №152 დადგენილების გათვალისწინებით

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტიდან ამოღებულ იქნეს პუნქტი 15.3.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეთხუთმეტე საკითხი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიის ტექსტის დამტკიცება – მომხსენებელი პროფ. ე. თევზაძე.

სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე: აკადემიურმა საბჭომ თავის სხდომაზე განიხილა და მიიღო სტუ-ს მისიის ტექსტი (დადგენილება №273), რომელიც გამოგვაქვს თქვენს წინაშე დასამტკიცებლად (იხ. დანართი). გთხოვთ, გამოთქვათ თქვენი მოსაზრებები ამ ტექსტთან დაკავშირებით.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეთხუთმეტე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

g a d a w y v e t i l e b a #17

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 23 ივნისის №48 სხდომაზე სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმოადგინა საკითხი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიის ტექსტის დამტკიცების შესახებ.

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს მისიის ტექსტი (იხ. დანართი).

სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, სრული პროფესორი ეკატერინე თევზაძე

სხდომის მდივანი,
ასოცირებული პროფესორი გინა გურეშიძე